

ხელშეკრულება
საერთაშორისო Visa International, Mastercard Worldwide და Union Pay ბარათების
პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე სს „ბაზისბანკი“ (შემდგომში „ბანკი“) უზრუნველყოფს ობიექტის მიერ Visa International, Mastercard Worldwide და Union Pay საერთაშორისო საბანკო ბარათების, როგორც საგადახდო საშუალების, მიღებას და მის ტექნიკურ და ფინანსურ მომსახურებას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და წესებით.
- 1.2. ამ ხელშეკრულებაში აღწერილ მომსახურებათა მისაღებად ობიექტი ბანკს მიმართავს შესაბამისი წერილობით განაცხადით, რომლითაც იმავდროულად ადასტურებს, რომ დეტალურად იცნობს ამ ხელშეკრულების ყველა პირობას და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ამ ხელშეკრულებას.
- 1.3. ობიექტი ვალდებულია კისრულობს, თავის მომსახურების პუნქტებში მიიღოს წინამდებარე ხელშეკრულების „1.1.“ მუხლში მითითებული საბანკო ბარათები, როგორც საგადახდო საშუალება.
- 1.4. ობიექტი ვალდებულია, გადაუხადოს ბანკს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საკომისიო საბანკო ბარათების მომსახურებისა და POS ტერმინალით სარგებლობისთვის.

2. ხელშეკრულებაში მოცემულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში მოცემულ ტერმინთა განმარტებები და წესები ეყრდნობა საერთაშორისო საგადახდო სისტემის Visa International-ის, Mastercard Worldwide-ის და Union Pay-ის წესებს:

- 2.1. **საპროცესინგო ცენტრი** – სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“ - სპეციალიზირებული ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს ბარათების ავტორიზაციას;
- 2.2. **ავტორიზაცია** – ბარათზე გარიგების შესაბამისი თანხის არსებობის შემოწმებისა და მისი ბლოკირების პროცედურა; გარიგების მოთხოვნაზე თანხმობის ან უარის მიღების პროცედურა;
- 2.3. **ავტორიზაციის კოდი** – გარიგების (ავტორიზაციაზე თანხმობის) დამადასტურებელი ექვსნიშნა რიცხვი;
- 2.4. **გარიგების უარყოფის კოდი** – სხვადასხვა მიზეზით არშემდგარი გარიგების (ავტორიზაციაზე უარის) კოდი.
- 2.5. **ტრანზაქცია** – ავტორიზაციისა და შემდგომი ანგარიშსწორების ოპერაციათა ერთობლიობა;
- 2.6. **ჩიპური POS ტერმინალი** – ელექტრონული მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ხდება გარიგების თანხისა და ბარათზე არსებული ინფორმაციის გადაცემა საპროცესინგო ცენტრთან ავტორიზაციის უზრუნველსაყოფად;
- 2.7. **დანადგარი** – ბარათის მომსახურე ელექტრონული (ჩიპური POS ტერმინალი) მოწყობილობა;
- 2.8. **სავაჭრო ქვითარი** – (იგივე „ავტომატური სავაჭრო ქვითარი“) ოფიციალური საანგარიშსწორებო დოკუმენტი, ბარათით ანგარიშსწორებისას გარიგების დამადასტურებელი საბუთი, რომელსაც ბეჭდავენ ჩიპური POS ტერმინალი ორ იდენტურ ასლად და რომელიც შედგენილია წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული წესების სრული დაცვით;
- 2.9. **ბაზი** – 24 საათის განმავლობაში შესრულებულ განადღებათა ჯამური თანხა, რომელსაც ჩიპური POS ტერმინალი ავტომატურად აგზავნის საპროცესინგო ცენტრში;
- 2.10. **ჩარჯბექი** – განსაზღვრული პროცედურა, როდესაც ბარათის ემიტენტი ან მფლობელი, Visa International-ის, Mastercard Worldwide-ის და Union Pay-ის წესების შესაბამისად, ასაჩივრებს შესრულებულ ტრანზაქციას და უკან ითხოვს ტრანზაქციის მთლიან ან ნაწილობრივ თანხას ექვსი თვის განმავლობაში („ტრანზაქციის შემსრულებელი ბანკისგან“);
- 2.11. **ჩარჯბექის დოკუმენტი** – ჩარჯბექის პროცესისათვის დამხმარე ყველა საბუთი ან ინფორმაცია (ქვითარი, კლიენტის მონაცემები, ტრანზაქციის დამატებითი აღწერა, „ობიექტის“ ინვოისი/ანგარიში, ნებისმიერი დოკუმენტური ჩანაწერი, „ობიექტის“ წერილი და ა.შ.).
- 2.12. **ფიქსირებული საკომისიო** – პოს-ტერმინალით მომსახურებისთვის გათვალისწინებული საკომისიო, რომელსაც კლიენტი გადაუხდის ბანკს თვეში ერთხელ და დაემატება თითოეული საბარათე ოპერაციის საკომისიოს
- 2.13. **კომბინირებული საკომისიო** – პოს-ტერმინალით მომსახურებისთვის გათვალისწინებული საკომისიო, რომელიც მოიცავს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკომისიოებს და გადაიხდება თვეში ერთხელ, მხოლოდ მაშინ, როდესაც საბარათე ოპერაციის საკომისიოების შესაბამისი თვის ჯამი არ აღემატება ბანკის მიერ განსაზღვრულ ოდენობას.
- 2.14. **საბარათე ინსტრუმენტი** – საგადახდო ინსტრუმენტი, მათ შორის, საგადახდო ბარათი, მობილური ტელეფონი, კომპიუტერი ან სხვა ტექნოლოგიური მოწყობილობა, რომელშიც ჩაწერილია/ინტეგრირებულია შესაბამისი საგადახდო აპლიკაცია და რომლის საშუალებით გადაიხდეს შეუძლია განახორციელოს საბარათე ოპერაციის ინიცირება;
- 2.15. **პოს-ტერმინალის საოპერაციო დღის დახურვა** – პროცედურა, რომლის დროსაც ჯამდება დღის, კონკრეტული პერიოდის განმავლობაში პოს-ტერმინალის მეშვეობით შესრულებული ოპერაციები (მათ შორის საბარათე ოპერაცია, რეფანდის (Refund) ოპერაცია, განადღების ოპერაცია) და ბანკს მიეწოდება ინფორმაცია ობიექტის ანგარიშზე ჩარიცხვების/ჩამოჭრების ოპერაციების ინიცირებისთვის.
- 2.16. **რევერსალის (Reversal) ოპერაცია** – საბარათე ოპერაციის გაუქმების შედეგად საბარათე ოპერაციის თანხის ბარათის მფლობელისთვის სრულად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ დაბრუნების ოპერაცია, რომლის შესრულება შესაძლებელია მხოლოდ პოს-ტერმინალის საოპერაციო დღის დახურვამდე.
- 2.17. **რეფანდის (Refund) ოპერაცია** – ობიექტის მიერ გაყიდული საქონლის ან/და მომსახურების უკან დაბრუნების გამო, ბარათის მფლობელის მიერ ობიექტისთვის დაბრუნებული საქონლისთვის ან/და მომსახურებისთვის გადახდილი საფასურის ობიექტის მიერ ბარათის მფლობელისთვის სრულად ან ნაწილობრივ დაბრუნების ოპერაცია;
- 2.18. **აგენტი ბანკები** – სს „თიხისი ბანკი“, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, სს „ხალივ ბანკი საქართველო“, სს „ფინკა ბანკი“.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. ბანკი უფლებამოსილია:

- 3.1.1. არ მოახდინოს ანგარიშსწორება არასწორად შედგენილი და ყალბი სავაჭრო ქვითრების საფუძველზე (მუხლი 5).
- 3.1.2. არ მოახდინოს ანგარიშსწორება გარიგებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის შემდეგ მიღებული სავაჭრო ქვითრების მიხედვით;

3.1.3. დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, მოსალოდნელი ჩარჯბექის, ჯარიმის ან/და ზარალის ანაზღაურების მიზნით გააჩეროს და დაარეზერვოს ობიექტისთვის ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით ჩასარიცხი თანხა;

3.1.4. თუ რეზერვის თანხა არ ფარავს ობიექტის დავალიანებას ბანკის მიმართ, ბანკი წერილობით აცნობებს ობიექტს დავალიანების შესახებ;

3.1.5. ჩიპური POS ტერმინალით განხორციელებულ ტრანზაქციებზე არ მოახდინოს ანგარიშსწორება გარიგებიდან ოცდაათი კალენდარული დღის შემდეგ მიღებული ბაჩის საფუძველზე;

3.1.6. პერიოდულად შეამოწმოს ობიექტის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საოპერაციო წესების დაცვა;

3.1.7. არ მოახდინოს ანგარიშსწორება ობიექტის განკარგულებაში არსებული ჩიპური POS ტერმინალით განხორციელებული ტრანზაქციების საექვოობისას ან უკანონოობისას;

3.1.8. ჩარჯბექის მოთხოვნის შემთხვევაში ჩარჯბექის პროცესის დამთავრებამდე ობიექტს დაუბლოკოს შესაბამისი თანხა, რაც შეესაბამება Visa International-ის, Mastercard Worldwide-ის და Union Pay-ის წესებს;

3.1.9. მოითხოვოს ობიექტისაგან ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია, როგორც ჩარჯბექის შემთხვევაში, აგრეთვე ნებისმიერი საექვო და უკანონო გარიგებისას;

3.1.10. იმ შემთხვევაში თუ ერთი კალენდარული თვის განმავლობაში ჩარჯბექების თანხა მიაღწევს გარიგებების თანხის 3%-ს ან მკვეთრად გაიზარდა ტრანზაქციათა რაოდენობა ან/და თანხა, მიზეზის დადგენამდე (შემოწმების საფუძველზე) დროებით შეაჩეროს ობიექტთან ანგარიშსწორება და ბარათების მომსახურება;

3.2.11. ტრანზაქციის გაუქმებისა და უკუგატარების შემთხვევაში ბანკმა ანგარიშზე ტრანზაქციის თანხის ჩარიცხვიდან 3 (სამი) დღის ვადაში განიხილოს შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტები და მიიღოს გადაწყვეტილება ბარათის მფლობელის ანგარიშზე თანხის დაბრუნება/არდაბრუნების შესახებ;

3.2.12. კანონით და წინამდებარე ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებების შეუზღუდავად, ობიექტის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების „3.4.2.“, „3.4.26.“ და „3.4.28.“ პუნქტების პირობის დარღვევის შემთხვევაში, დააკისროს, ხოლო ასეთ შემთხვევაში ობიექტი ვალდებულია გადაიხადოს აღნიშნული პუნქტების დარღვევისათვის გათვალისწინებული პირგასამტეხლო;

3.1.13. დაუყოვნებლივ შეაჩეროს უფლებამოსილება და ანგარიშსწორებები ობიექტთან რაიმე მნიშვნელოვანი გარემოებების გამო, რომლებიც ზიანს/ზარალს აყენებს Visa International, Mastercard Worldwide და Union Pay ანგარიშსწორების სისტემების სახელს;

3.1.14. უაქცეპტოდ ჩამოჭრას ობიექტის ანგარიშზე შეცდომით ჩარიცხული თანხები (ჩარჯბექით, უკანონო გარიგებით ან სხვა სახით მიღებული ზარალის თანხები);

3.1.15. განათავსოს ობიექტებზე ბარათების მომსახურებისთვის აუცილებელი დანადგარები (ასეთების არსებობის შემთხვევაში), სარეკლამო-საინფორმაციო და სპეციფიკური სახარჯე მასალა და აწარმოოს აღნიშნული მოწყობილობების ტექნიკური ზედამხედველობა;

3.1.16. განათავსოს ობიექტზე თავისი რეკლამა და ლოგოტიპი.

3.1.17. ობიექტის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით „3.4.33.“, „3.4.34.“, და „3.4.36.“ პუნქტებში მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ჩამოჭეროს ამავე პუნქტების დარღვევისათვის გათვალისწინებული პირგასამტეხლო ობიექტის საბანკო ანგარიშ(ებ)იდან, რაზეც ობიექტი წინასწარ აცხადებს თანხმობას.

3.1.18. ობიექტის ანგარიშებიდან ჩამოჭეროს ფიქსირებული საკომისიო ობიექტთან წინასწარ შეთანხმებული თვეების რაოდენობით;

3.1.19. ობიექტისთვის პოს-ტერმინალის გადაცემა განახორციელოს როგორც უშუალოდ, ისე ბანკის მიერ განსაზღვრული მესამე პირის მეშვეობით.

3.1.20. საკუთარი შეხედულებისამებრ, ობიექტის დამატებითი თანხმობის ან/და მისთვის შეტყობინების გარეშე ნებისმიერ დროს დააწესოს ან/და შეცვალოს თანხობრივი ლიმიტი დროის გარკვეულ მონაკვეთში (მაგ. დღე, კვირა, თვე და ა.შ.) შესრულებული/შესასრულებელი საბარათე ოპერაციის ან/და რეფანდის (Refund) ოპერაციისთვის. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია არ განახორციელოს მომსახურება იმ საბარათე ოპერაციისთვის ან/და რეფანდის (Refund) ოპერაციისთვის რომლებიც აჭარბებს ბანკის მიერ დადგენილ თანხობრივ ლიმიტს.

3.2.21. განიხილოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ტრანზაქციებთან დაკავშირებული დავები, საერთაშორისო ან ლოკალური საგადახდო სისტემების წესებისა და კანონმდებლობის მიხედვით და ბანკში მოქმედი წესების გათვალისწინებით.

3.2. ბანკი ვალდებულია:

3.2.1. საპროცესინგო ცენტრის მეშვეობით უწყვეტ რეჟიმში უზრუნველყოს ბარათების ავტორიზაცია;

3.2.2. აწარმოოს POS ტერმინალ(ებ)ის ტექნიკური ზედამხედველობა. დროულად მოამარაგოს ობიექტი სახარჯო მასალით პრინტერის ქაღალდით და სლიპებით, უზრუნველყოს საბარათე ინსტრუმენტით გადახდების მისაღებად საჭირო ყველა ინფორმაციით;

3.2.3. ორგანიზება გაუწიოს ბარათების მომსახურების წესების თაობაზე ობიექტის პერსონალის სწავლებას;

3.2.4. წერილობით შეატყობინოს ობიექტს არსებითი საოპერაციო ცვლილებების შესახებ ცვლილებებამდე არაუგვიანეს 5 (ხუთი) საბანკო დღისა;

3.2.5. ობიექტის თანხების მოძრაობის შემცველი ინფორმაცია მიაწოდოს მხოლოდ ამ ხელშეკრულების მხარეებს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.2.6. ობიექტის მიერ შევსებული განაცხადის საფუძველზე, დროებით სარგებლობაში გადასცეს ობიექტს POS ტერმინალ(ებ)ი და უზრუნველყოს მათი განათავსება შესაბამის ობიექტ(ებ)ში. POS ტერმინალის გადაცემაზე/დაბრუნებაზე მხარეებს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

3.2.7. პერიოდულად შეამოწმოს ობიექტის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა;

3.2.8. უზრუნველყოს პოს ტერმინალების ტექნიკური გამართულობა ამ ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად.

3.2.9. უფასოდ გაუწიოს ტერმინალებს ტექნიკური ზედამხედველობა.

3.2.10. არ მოახდინოს ანგარიშსწორება ამ ხელშეკრულებაში მოცემული წესების დარღვევით შედგენილი ყალბი ან ძალადაკარგული სავაჭრო კვითრების მიხედვით;

3.3. ობიექტს უფლება აქვს:

3.3.1. მიიღოს დამატებითი კონსულტაცია ბარათებით ოპერირების შესახებ;

3.3.2. მოითხოვოს თავისი პერსონალის განმეორებით ან დამატებით სწავლება.

3.3.3. პოს-ტერმინალის საოპერაციო დღის დახურვამდე განახორციელოს რევერსალის (Reversal) ოპერაცია, ხოლო პოს-ტერმინალის საოპერაციო დღის დახურვის შემდეგ, განაცხადის საფუძველზე, ბანკის მიერ მისთვის რეფანდის (Refund) ოპერაციის სერვისის გააქტიურების შემთხვევაში, პოს-ტერმინალის მეშვეობით მისცეს ბანკს დავალება რეფანდის (Refund) ოპერაციის შესრულებასთან დაკავშირებით.

3.3.4. რეფანდის (Refund) ოპერაციის განხორციელებისთვის მოქმედებს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საკომისიო(ები)ს პირობები და ოდენობები. ამასთან, რეფანდის (Refund) ოპერაციისთვის გათვალისწინებულ მომსახურების საკომისიოს ბანკი ობიექტის თანხმობისა და აქცეპტის გარეშე, შესაბამისი ოპერაციის შესრულებამდე ჩამოჭრის ობიექტის ნებისმიერი ანგარიშიდან.

3.3.5. საბარათო ოპერაციის, რეფანდის (Refund) ოპერაციის შესრულება მოითხოვოს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში.

3.3.6. მოითხოვოს ბანკისგან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ფარგლებში პოს-ტერმინალის მეშვეობით შესრულებული საბარათო ოპერაციების შესახებ ამონაწერის - ყოველდღიური, ყოველკვირეული ან ყოველთვიური პერიოდულობით მიღება, განაცხადში დაფიქსირებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე. ამ პუნქტში განსაზღვრული მომსახურების გააქტიურება, მომსახურების პირობებში ცვლილება და მომსახურების გაუქმება ძალაში შედის ობიექტის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი განაცხადის საფუძველზე.

3.4. „ობიექტი“ ვალდებულია:

3.4.1. Visa International, Mastercard Worldwide და Union Pay ბარათების მომსახურება განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებაში მოცემული წესების მკაცრი დაცვით, მათ შორის:

- იმ შემთხვევაში თუ, მაგნიტური ზოლით განხორციელებული ტრანზაქციის თანხა აღემატება 100 ლარს, აუცილებელი წესით მოითხოვება პირადობის მოწმობა და მოწმობის ნომერი დააწერეთ ამობეჭდილ ქვითარს

- მაგნიტური ზოლით განხორციელებული ტრანზაქციის ქვითარზე აუცილებელია კლიენტის ხელმოწერა

- კლიენტის მიერ ხელმოწერილი ქვითარი სავალდებულოა შეინახოს 12 თვის განმავლობაში.

- გადახდა ჩათვალს წარმატებით დასრულებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამობეჭდილ ქვითარზე მითითებულია: „დადასტურებულია, პასუხისკოდი 000“

- ნებისმიერი სხვა შეფერხების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ შეატყობინეთ საპროცესინგო ცენტრს ცხელ ხაზზე: 2 777 222 (მობილურიდან 0322777222)

3.4.2. უზრუნველყოს საპროცესინგო ცენტრში ბაჩის გაგზავნის პროცედურა წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესების მიხედვით;

3.4.3. დანადგარებთან მუშაობის უფლება მისცეს მხოლოდ ბანკის მიერ ინსტრუქტირებულ თანამშრომლებს და წერილობით მოითხოვოს ბანკისგან ან საპროცესინგო ცენტრისგან ახალი პერსონალისათვის ინსტრუქციის ჩატარება;

3.4.4. არ გადასცეს ბანკის დანადგარები სხვა ორგანიზაციებსა და მათ თანამშრომლებს, არ მისცეს შესაძლებლობა სხვა ორგანიზაციებსა და მათ თანამშრომლებს გამოიყენონ ბანკის დანადგარები.

3.4.5. შეინახოს სავაჭრო და ბაჩის კვითრები 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში და გადასცეს ბანკს პირველი მოთხოვნისთანავე ორი საბანკო დღის ვადაში.

3.4.6. მიიღოს დამატებითი კონსულტაცია ბარათებით ოპერირების შესახებ.

3.4.7. ტრანზაქციის შესრულებისას იხელმძღვანელოს მხოლოდ დანადგარის მიერ გაცემული ინფორმაციის შესაბამისად და გაურკვევლობის წარმოქმნის შემთხვევაში დაუკავშირდეს საპროცესინგო ცენტრის 24-საათიან სატელეფონო სამსახურს შემდეგ ნომერზე **(032) 2777222** და იმოქმედოს მითითებისამებრ.

3.4.8. განათავსოს დანადგარები და სარეკლამო მასალები ბანკთან შეთანხმებით.

3.4.9. ბანკის ნებართვის გარეშე ობიექტს ეკრძალება POS ტერმინალის სხვა ობიექტში ან ფილიალში გადატანა.

3.4.10. არ გაატაროს კრედიტული ტრანზაქცია შესაბამისი დებეტური ტრანზაქციის გატარების გარეშე;

3.4.11. არ მიიღოს ბარათი არსებული ვალის ინკასირების ან პირობების შეცვლისათვის, რომელიც მიჩნეულია უიმედოდ ობიექტის მიერ, მასთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურების უზრუნველყოფით;

3.4.12. არ მოახდინოს რაიმე დამატებითი საკომისიოს ან გადასახადის დამატება ტრანზაქციის თანხაზე, გარდა ამავე ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული საკომისიოებისა;

3.4.13. არ წარადგინოს საგადახდო სისტემებში ტრანზაქციის თანხა, რომელზეც მიღებულია უარყოფილი ჩეკი;

3.4.14. არ წარადგინოს საგადახდო სისტემებში ტრანზაქციის თანხა, რომელიც დაუბრუნდა ობიექტს ჩარჯბექის შედეგად, მიუხედავად იმისა, ასაჩივრებს თუ არა ბარათის მფლობელი ტრანზაქციას. საჭიროების შემთხვევაში ობიექტს შეუძლია თანხა დაუბრუნოს კლიენტს Visa International-ის, Mastercard Worldwide-ის და Union Pay-ის საგადამხდელო სისტემის გვერდის ავლით (სხვა არხით);

3.4.15. არ მოსთხოვოს ბარათის მფლობელს ან/და თავად არ გადაიღოს ბარათის ასლი.

3.4.16. უზრუნველყოს პოს-ტერმინალის საოპერაციო დღის დახურვის განხორციელება ყოველი დღის ბოლოს (ავტომატურ რეჟიმში ან მანუალურად).

3.4.17. დაიცვას საბარათო ოპერაციებთან დაკავშირებული ინფორმაციის სრული კონფიდენციალურობა;

3.4.18. უზრუნველყოს ობიექტის და სისტემაში ჩართული მესამე პირის Visa International-ის, Mastercard Worldwide-ის და Union Pay-ის საგადახდო სისტემების უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა, ისეთი როგორცაა ტრანზაქციასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მისი შენახვა და დაცვა;

3.4.19. ბანკისგან შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან 2 (ორი) საბანკო დღის ვადაში, მიაწოდოს ბანკს ნებისმიერი მოთხოვნილი დოკუმენტაცია/ინფორმაცია, იმ საბარათო ოპერაციასთან დაკავშირებით, რომელიც საერთაშორისო ან

ადგილობრივი საგადახდო სისტემების წესებისა და კანონმდებლობის მიხედვით შეიძლება გახდეს/გახდეს დავის საგანი, ან ნებისმიერი დოკუმენტაცია/ინფორმაცია, რომლის მიღებაც სავალდებულოა ბანკისთვის კანონმდებლობის შესაბამისად.

3.4.20. არ მოახდინოს ანგარიშის ნომრის მოთხოვნა ან გამოყენება სხვა მიზნისთვის, გარდა საქონლის და მომსახურების ანგარიშსწორებისა;

3.4.21. საბარათო ოპერაციის განხორციელებამდე ბარათის მფლობელისთვის თვალსაჩინო გახადოს ოპერაციის თანხა პოს-ტერმინალის ეკრანის ან პოს-ტერმინალთან ინტეგრირებული სხვა ეკრანის საშუალებით.

3.4.22. შეამოწმოს ბარათის მოქმედების ვადა და დარწმუნდეს, რომ ბარათი არ არის დაზიანებული, დაბლოკილი, აქვს სტანდარტული რეკვიზიტები, ხოლო ბარათზე ხელმოწერის ზოლის არსებობის შემთხვევაში შეამოწმოს მფლობელის ხელმოწერის არსებობა.

3.4.23. მოსთხოვოს ბარათის მფლობელს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და დარწმუნდეს პირის ვინაობაში, ბარათთან ან/და ბარათის მფლობელთან მიმართებაში რაიმე ეჭვის შეტანის შემთხვევაში. ბარათის მფლობელის სახელი და გვარი უნდა დაემთხვეს წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემებს, ხოლო ბარათის მფლობელის გარეგნობა უნდა შეესაბამებოდეს დოკუმენტში არსებულ ფოტოსურათს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბარათი გადახდისთვის არ მიიღება. საბარათო ქვითრის უკანა მხარეს კალმით ჩაიწეროს ბარათის მფლობელის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ნომერი, ბარათის პირველი 4 ციფრი და კლიენტის წარმომადგენლის ხელმოწერა.

3.4.24. საბარათო ოპერაციის მაგნიტური ზოლით განხორციელების შემთხვევაში, ბარათით გადახდის ავტორიზაციის კოდის მიღების შემდეგ ბარათის მფლობელს ხელი მოაწერინოს საბარათო ქვითარზე, სპეციალურ გრაფაში. საბარათო ქვითარზე გაკეთებული ხელმოწერა იდენტური უნდა იყოს ბარათის მეორე მხარეს გაკეთებული ბარათის მფლობელის ხელმოწერის ნიმუშისა.

3.4.25. პოს-ტერმინალიდან საბარათო ქვითრის ამობეჭდვის შემდგომ დარწმუნდეს, რომ საბარათო ქვითარზე დაბეჭდილი ბარათის ნომერი ემთხვევა ბარათზე არსებულ ბარათის ნომერს (პირველი 6 ციფრი და ბოლო 4 ციფრი).

3.4.26. ბარათის არაკანონიერ მფლობელობაზე ან/და ბარათის გაყალბებაზე, ეჭვის აღძვრის შემთხვევაში, ასევე იმ შემთხვევაში, თუ პოს ტერმინალიდან საბარათო ქვითრის ამობეჭდვის შემდგომ გადამოწმებისას დგინდება, რომ საბარათო ქვითარზე დაბეჭდილი ბარათის ნომერი არ ემთხვევა საბარათო ქვითარზე დაბეჭდილ ნომერს (პირველი ექვსი ციფრი და ბოლო ოთხი ციფრი), დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს ბანკს და შეასრულოს მისი მომდევნო ინსტრუქციები.

3.4.27. აცნობოს ბანკს ობიექტის იმ წარმომადგენლების შესახებ, რომელთაც ექნებათ წვდომა ბარათის მონაცემებთან.

3.4.28. ჩარჯბექის შემთხვევაში ჩარჯბექის პროცესის დამთავრებამდე, მოახდინოს შესაბამისი უკან გათხოვილი თანხის სრული ანაზღაურება, რაც შეესაბამება Visa International-ის, Mastercard Worldwide-ის და Union Pay-ის რეგულაციის წესებს;

3.4.29. ჩარჯბექის შემთხვევაში მოთხოვნისთანავე გადასცეს ბანკს ჩარჯბექის დოკუმენტები, წინააღმდეგ შემთხვევაში ობიექტი ვალდებული იქნება გადაიხადოს ჩარჯბექის თანხა სრული ოდენობით;

3.4.30. აუნაზღაუროს ზიანი/ზარალი, რომელიც ბანკს მიადგა ობიექტის მომსახურე პერსონალის ქმედებისა (მოქმედების ან უმოქმედობის) ან/და წინამდებარე ხელშეკრულებაში მოცემული ბარათის მომსახურების წესების დარღვევის შედეგად.

3.4.31. ობიექტი ვალდებულია ჩიპური POS ტერმინალის მუშაობაში ხარვეზების წარმოქმნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკებს ან საპროცესინგო ცენტრს.

3.6.32. დაიცვას ფულის გათეთრების აკრძალვა. ობიექტი წარმოადგენს ოპერაციის შესრულების დამადასტურებელ ჩეკს, რომელიც არ არის მიღებული ბარათის მფლობელსა და ობიექტს ან ბარათის მფლობელსა და მის დაფინანსებულ მოვაჭრეს შორის მოქმედებით.

3.4.33. ობიექტს უფლება არ აქვს საქონლის ან/და მომსახურების ღირებულებას მიუმატოს საკომისიო, რომელიც წინასწარ არ იქნება შეთანხმებული ბანკთან, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია გადაუხადოს ბანკს პირგასამტეხლო ბოლო თვის ტრანზაქციების თანხის ექვსმაგი ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 5000 (ხუთი ათასი) ლარისა.

3.4.34. ობიექტის ან მომსახურების პუნქტ(ებ)ის დახურვის, ხელშეკრულების მოქმედების ვადამდე შეწყვეტის ან ხელშეკრულების მოქმედების დასრულების შემთხვევაში ბანკს დაუბრუნოს გადაცემული დანადგარები ობიექტის დახურვიდან, ხელშეკრულების შეწყვეტიდან ან ვადის დასრულებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანკს გადაუხადოს დასაბრუნებელი დანადგარების სრული ღირებულების 0.05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

3.4.35. ახალი ობიექტის გახსნის შემთხვევაში მინიმუმ 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე აცნობოს ბანკს მისი გახსნის შესახებ დანადგარის დროული მონტაჟისათვის.

3.4.36. გარდა ამ ხელშეკრულების 3.4.22 -3.4.26 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ან/და ტექნიკური შეფერხებით გამოწვეული მიზეზებისა, არ განუცხადოს უარი კლიენტს ბარათით ანგარიშსწორებაზე. იმ შემთხვევაში, თუ ობიექტი დაარღვევს ამ მუხლით გათვალისწინებულ პირობას, ბანკი უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო ობიექტი ვალდებულია თითოეულ ასეთ შემთხვევაზე ბანკს გადაუხადოს პირგასამტეხლო 100 (ასი) ლარის ოდენობით. ასეთი უფლებით ბანკს შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს ბანკის ვალდებულებას.

3.4.37. დაუბრუნოს POS ტერმინალ(ებ)ი ბანკს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში. თუ POS ტერმინალის მუშაობა შეფერხებულია ტექნიკური ხარვეზების გამო. ასეთ შემთხვევაში POS ტერმინალი დროებით ბრუნდება ბანკში ტექნიკური ხარვეზის გამოსასწორებლად.

3.4.38. დააბრუნოს POS ტერმინალ(ებ)ი თავდაპირველ მდგომარეობაში, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით. POS ტერმინალის დაუბრუნებლობის ან დაზიანების შემთხვევაში ობიექტი უნაზღაურებს ბანკს მის ღირებულებას, რომელიც მითითებულია მიღება-ჩაბარების აქტში.

3.4.39. ტერმინალის ფიზიკური დაზიანების შემთხვევაში, სრულად აუნაზღაუროს ბანკს მისი შეკეთების ხარჯები;

3.5. ობიექტი ადასტურებს, რომ:

3.5.1. მისი წარმომადგენელი აკმაყოფილებს Visa International-ის, Mastercard Worldwide-ის და Union Pay-ის საგადახდო სისტემების უსაფრთხოების მოთხოვნებს;

3.5.2. პირს, რომელიც მისი სახელით ჩაიბარებს ან დააბრუნებს POS ტერმინალ(ებ)ს, აქვს ამ მუხლში აღნიშნულ მიღება-ჩაბარების აქტზე მისი სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება;

4. ანგარიშსწორება

4.1. ობიექტი უზდის ბანკს ამ ხელშეკრულებითა და განაცხადით შეთანხმებულ საკომისიოს ბარათების მომსახურებისათვის.

4.2. ფიქსირებული საკომისიოს და კომბინირებული საკომისიოს გადახდა უნდა განხორციელდეს შესაბამისი თვის დასრულებიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ობიექტი აცხადებს წინასწარ თანხმობას, ბანკის სრულ უფლებამოსილებაზე, ობიექტის ნებისმიერი სახის ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს აღნიშნული საკომისიოების თანხები, ხოლო თუ გადასახდელი თანხები და ანგარიშზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, ბანკმა თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის მასთან მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს ანგარიშიდან, კონვერტირებული თანხა კი მიმართოს შესაბამისი გადასახდელის დასაფარად.

4.3. ბანკის მიერ კლიენტის ანგარიშზე შესაბამისი თანხის ასახვა მოხდება საბარათე ოპერაციის განხორციელებიდან მეორე საბანკო დღეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტის ოპერაცია ბანკის მიერ საეჭვოდ იქნება მიჩნეული, იმ პირობით, რომ შესაბამისი პოს-ტერმინალის საოპერაციო დღის დახურვა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს ანგარიშსწორების დღის (დღის) 08:00 საათისა. იმ შემთხვევაში თუ პოს-ტერმინალის საოპერაციო დღის დახურვა არ განხორციელდება საბარათე ოპერაციის შესრულებიდან 28 (ოცდარვა) კალენდარული დღის განმავლობაში, ბანკი იტოვებს უფლებას გააუქმოს აღნიშნული საბარათე ოპერაცია.

4.5. ბანკსა და ობიექტს შორის ანგარიშსწორება, მათ შორის ობიექტის მიერ პოს-ტერმინალით მომსახურებასთან დაკავშირებული გადასახდელების (მათ შორის საკომისიოების) გადახდა მოხდება პოს-ტერმინალით მომსახურების განაცხადში კლიენტის მიერ დაფიქსირებული ანგარიშის გამოყენებით, თუ ბანკის მიერ სხვა რამ არ იქნა განსაზღვრული.

5. ყალბი ან ძალადაკარგული სავაჭრო ქვითრები

5.1. მხარეთა შეთანხმებით ავტომატური სავაჭრო ქვითარი ითვლება ყალბად და ბანკი არ მოახდენს ობიექტისთვის თანხების გადარიცხვას თუ:

5.1.1. ობიექტის მიერ საპროცესინგო ცენტრში წარდგენილი სავაჭრო ქვითარი ან მისი ასლი არ შეესაბამება ავტორიზაციის მონაცემებს;

5.1.2. სავაჭრო ქვითარი არ არის შევსებული ამ ხელშეკრულებაში მოცემული წესების თანახმად;

5.1.3. სავაჭრო ქვითარში შეტანილია შესწორებები ან დარღვეულია მათი ასლების იდენტურობა;

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. მხარე, რომლის მიერაც მოხდება ხელშეკრულების პირობების დარღვევა, ამით გამოწვეულ ზიანს/ზარალს ანაზღაურებს სრული მოცულობით, ამასთან, ბანკის პასუხისმგებლობა ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით არ მოიცავს ბანკის მიერ გაუფრთხილებლობით აგრეთვე არაპირდაპირი სახის ზიანის ანაზღაურებას (მათ შორის რეპუტაციული ზიანი, მიუღებელი სარგებელი და სხვა).

6.3. ბანკი არ არის პასუხისმგებელი ობიექტსა და ბარათის მფლობელს შორის წარმოქმნილ უთანხმოებებზე, რომელსაც არა აქვს უშუალო კავშირი წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან.

6.4. მხარეები არ აგებენ პასუხს თავისი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის ფორს მაჟორული გარემოებების დადგომისას, რომელთაც მიეკუთვნება:

6.4.1. სტიქიური უბედურებები, ომები, ტერორისტული აქტები, სამხედრო გადატრიალებები, ხანგრძლივი შეიარაღებული კონფლიქტები, ბლოკადები, ენერგო სისტემის ან კავშირგაბმულობის ძირითადი ობიექტების ხანგრძლივი პარალიზება და სხვა დაუძლეველი ძალები;

6.4.2. ხელისუფლების ორგანოების მიერ ისეთი აქტების მიღება, რომლებიც ხელს უშლიან მხარეებს განახორციელონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

6.4.3. მოვლენები, რომლებმაც მნიშვნელოვანი ზარალი შეუძლია მიაყენონ ბანკს, კერძოდ: ბანკის შენობის, საცავის, ენერგო ქსელის, კავშირგაბმულობის, გამოთვლითი ტექნიკის მნიშვნელოვანი დაზიანება გამოწვეული ხანძრით, ენერგო და კავშირგაბმულობის ქსელში მომხდარი ავარიებით, ქონების დატაცების მიზნით ჩადენილი დანაშაულით.

6.5. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორს-მაჟორული მოვლენების განვითარებისას მხარეების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გადაიდება მათ ლიკვიდაციამდე.

6.6. თუ ფორს-მაჟორის (დაუძლეველი ძალის) მოქმედება გრძელდება 30 (ოცდაათი) სამუშაო დღეზე მეტ ხანს, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ ხელშეკრულების ბედი; თუ მხარეები ვერ მიაღწევენ კომპრომისს, დავა გადაწყდება ხელშეკრულების მე-7 მუხლში შეთანხმებული წესით.

7. ხელშეკრულების მოქმედება და სხვა პირობები

7.1. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი სახის უთანხმოება უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით. ამგვარი გზით შეთანხმების მიუღწევლობისას დავა განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის გამოყენებით; წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-მუხლის ¹¹ ნაწილის შესაბამისად, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავასთან დაკავშირებული ბანკის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება (მათ შორის გადახდის ბრძანება) მიქცეულ იქნეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

7.2. მხარეები ოფილიალურ დოკუმენტად ცნობენ საპროცესინგო ცენტრში დაფიქსირებულ მონაცემებს, ავტორიზაციის მონაცემებს, ავტომატურ სავაჭრო ქვითრებს, ბაზის მონაცემებს, ბანკიდან მიღებულ ამონაწერებსა და ჩარჯბექის დოკუმენტებს;

7.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ობიექტზე POS ტერმინალების მიტანა-წამოღებას, მონტაჟს, დემონტაჟს და მათ სრულ მომსახურებას უზრუნველყოფს სს „გაერთიანებული საფინანსო კოროპრაციის“ თანამშრომელთა მეშვეობით, რომლებიც უფლებამოსილნი არიან ბანკის სახელით ხელი მოაწერონ მიღება-ჩაბარების აქტებს;

7.4. ხელშეკრულება ძალაში შედის ამ ხელშეკრულების 1.2. პუნქტში აღნიშნული განაცხადის მიღების მომენტიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

7.5. ობიექტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებით სარგებლობა, მომსახურებით სარგებლობის შეწყვეტამდე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე ბანკისთვის წერილობითი

შეტყობინების გადაცემის მეშვეობით. ამ შემთხვევაში ობიექტი ვალდებულია, მომსახურებით სარგებლობის შეწყვეტის შესახებ ბანკისთვის წერილობითი შეტყობინების გადაცემიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა მოახდინოს საბოლოო ანგარიშსწორება და გადაუხადოს ბანკს მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა საკომისიო ან სხვა სახის გადასახდელი.

7.6. ბანკს უფლება აქვს, ცვლილებები ან/და დამატებები შეიტანოს წინამდებარე ხელშეკრულების/მისი დანართების ტექსტში, ასეთი ცვლილებების/დამატებების განხორციელებამდე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე ბანკის ინტერნეტგვერდზე www.basisbank.ge შესაბამისი ინფორმაციის განთავსების მეშვეობით ან ობიექტთან შეტყობინების გაგზავნის გზით. ამასთან, თუ განხორციელებული ცვლილება იწვევს ობიექტის პირობების გაუმჯობესებას, იგი მაშინვე შედის ძალაში და ინფორმაცია ამის შესახებ ეგზავნება ცვლილების განხორციელებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

7.7. ამ ხელშეკრულების 7.6. პუნქტში აღწერილ შემთხვევაში ობიექტს უფლება აქვს, ბანკის ინტერნეტგვერდზე ინფორმაციის განთავსებიდან ან შეტყობინების მიღებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის გასვლამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება ამ ხელშეკრულების 7.5. პუნქტით გათვალისწინებული წესით. ამ პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას იგულისხმება, რომ ობიექტს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის ბანკის წინაშე გადახდილი აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებული საკომისიო და სხვა გადასახდელი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდება ამ ხელშეკრულებით ობიექტისთვის დაკისრებული ყველა ვალდებულების სრულად შესრულებამდე.

7.8. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ობიექტის მიერ ბანკში წარმოდგენილი შესაბამისი განცხადება წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

7.9. ამ ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესი ძალა მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით ადრე გაფორმებულ სხვა ხელშეკრულებებთან წინააღმდეგობის შემთხვევაში.

7.10. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილობა არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას;

7.11. ამ ხელშეკრულების მოქმედება ნებისმიერ დროს შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, ზიანის (ზარალის) ანაზღაურების გარეშე, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე უარი განაცხადოს და დაუყოვნებლივ, სრულად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, რომლის თაობაზეც ობიექტი მიიღებს შეტყობინებას მხარეთა კომუნიკაციისთვის ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით.

7.12. ხელშეკრულება ითვლება საბოლოოდ შეწყვეტილად მხარეთა შორის ყველა სახის ორგანიზაციულ-ტექნიკური და ფინანსური საკითხების მოგვარების შემდეგ. მხარეებმა უნდა მოახდინონ საბოლოო ანგარიშსწორება ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტის დღიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

7.13. ნებისმიერი შეტყობინება ხორციელდება წერილობით, ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით. წერილობითი შეტყობინება მხარეს უნდა გადაეცეს შეტყობინების გამგზავნისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე. ბანკს შეუძლია შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც (მათ შორის ელექტრონული (მოკლე ტექსტური შეტყობინება, ელ. ფოსტა, ბანკის ოფიციალური ინტერნეტგვერდი – www.basisbank.ge და ა.შ.) ციფრული, სატელეფონო და სხვა).

7.14. ობიექტის მიერ ბანკში წარმოდგენილ შესაბამის განაცხადში დაფიქსირებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან/და ინტერნეტბანკის მეშვეობით ბანკსა და ობიექტს შორის განხორციელებული ნებისმიერი სახის კორესპონდენცია წარმოადგენს მხარეთა შორის ოფიციალურ კომუნიკაციას.

7.15. მხარეები ვალდებული არიან წერილობით აცნობონ ერთმანეთს ნებისმიერი არსებითი (იურიდიული მისამართის შეცვლა, საბანკო რეკვიზიტების შეცვლა, სამართლებრივი სტატუსის შეცვლა, საქმიანობის შეცვლა, ლიკვიდაციის დაწყება, გაკოტრების დაწყება) ცვლილების განხორციელებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7.16. ურთიერთობები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.17. ამ ხელშეკრულების ტექსტი განთავსებულია ბანკის ინტერნეტ-გვერდზე www.basisbank.ge, მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტს გადაეცემა ხელმოწერილი ხელშეკრულება.